საქმე № 010910024900164926

1437268169466

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე სსდ-01-24 **30 იანვარი 2024 წელი**

ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის

შემადგენლობა:

თავმჯდომარე - თეა ძიმისტარაშვილი (მომხსენებელი)

მოსამართლეები - რევაზ ნადარაია

გოჩა აბუსერიძე

სხდომის მდივანი - მ--- ჯ-----

საჩივრის ავტორი - ადვოკატი მ----- ბ-------

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

წარმომადგენელი - თ---- ხ-------

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 20 ოქტომბრის №095/22 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. 2022 წლის 4 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა მ---- ს--------მ და მოითხოვა ადვოკატ მ----- ბ------ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.
2. მ---- ს-------ის განმარტებით, ის წლებია იცნობს ადვოკატ მ----- ბ-------ს და წლების წინ მისგან საადვოკატო მომსახურება მიიღო სამოქალაქო საქმეზე, 2010 წელს ადვოკატს სანოტარო წესით გაუფორმა „უვადო“ მინდობილობა, რაც საქმისწარმოების

დასრულების შემდეგ კლიენტს აღარ გაუუქმებია. მ---- ს-------ის განმარტებით, 2022 წლის მაისის თვეში მისთვის ცნობილი გახდა, რომ ის აღარ იყო საცხოვრებელი ბინის, მდებარე - ქ. თ------, ი--- ჭ-------ის N-- „დ“ (ს/კ --.--.--.---.---.--.---,) მესაკუთრე. მესაკუთრის ცვლილებას საფუძვლად დაედო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის განჩინება (საქმე N-/--------). აღნიშნულის შესახებ მ---- ს--------მ შემთხვევით გაიგო მაშინ, როდესაც 2022 წლის მაისის თვეში ვაკის გამგეობამ ამხანაგობა „ი--- ჭ-------ის --“-დან კრების ჩატარების თარიღის განსასაზღვრად საჯარო რეესტრის ამონაწერი მოითხოვა. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2022 წელს მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისმა ყოფილმა მეუღლემ - ლ--- ო----მა 2020 წლის 1 ოქტომბერს საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა მეუღლეთა შორის 2019 წლის 8 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. ადვოკატმა მ----- ბ-------მ ლ--- ო----ის მიერ წამოწყებულ დავაში იმოქმედა მ---- ს-------ის სახელით 2010 წელს მიღებული მინდობილობის საფუძველზე ისე, რომ მას აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია არ მიაწოდა. საქმის მასალების მოძიების შემდეგ მ--- ს--------მ დაადგინა, რომ ადვოკატი შესაგებელში დაეთანხმა მოსარჩელის პოზიციას და მ---- ს-------ის ინფორმირების გარეშე გააფორმა მორიგების აქტი, რის საფუძველზეც შეწყდა სასამართლოში საქმისწარმოება და ლ--- ო----- დარეგისტრირდა მომჩივანის კუთვნილი უძრავი ქონების ახალ მესაკუთრედ.

3. მ---- ს-------ის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილ სარჩელში მისი, როგორც მოპასუხის, არასწორი მისამართი და ტელეფონის ნომერი იყო მითითებული. სარჩელი ჩაიბარა მისმა რძალმა - ნ--- კ------მ, რომელსაც მისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია. სასამართლოდან გამოთხოვილი საქმის მასალებით გაარკვია, რომ სარჩელი მიიღო მისმა ყოფილმა ადვოკატმა - მ----- ბ-------მაც, რომელსაც მინდობილობა 10 წლის წინ გაუფორმა. მ---- ს-------ის განცხადებით, 2010 წლის შემდეგ მას მ----- ბ-------სთან კომუნიკაცია არ ჰქონია. სარჩელის თაობაზე ადვოკატი არ დაკავშირებია და მისთვის უცნობი იყო საქმისწარმოების დეტალები. მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ ადვოკატი მ----- ბ------- მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, მ---- ს--------მ სანოტარო წესით გააუქმა გაცემული მინდობილობა.

4. მ---- ს-------ის პოზიციით, ადვოკატმა მ----- ბ-------მ კეთილსინდისიერად არ შეასრულა პროფესიული ფუნქციები, ზუსტად და განუხრელად არ დაიცვა პროფესიული ეთიკის ნორმები და განახორციელა ისეთი ქმედებები, რამაც საფრთხე შეუქმნა მის ინტერესებს. მ---- ს-------მ მოითხოვა ადვოკატ მ----- ბ------ის მიმართ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

5. ადვოკატმა მ----- ბ-------მ 2022 წლის 17 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება; ასევე მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის დისტანციური ფორმატით გამართულ სხდომებში, სადაც აღნიშნა, რომ ის 2010 წლიდან 2022 წლამდე იყო მ---- ს-------ის ოჯახის ადვოკატი. მისი განმარტებით, მ---- ს--------ს მინდობილობა ადვოკატისთვის რამდენჯერმე აქვს გაცემული, ერთ-ერთი არის 2015 წლის 11 დეკემბერის რწმუნებულება რ/რ------- ინდ. N----------, რომელშიც მ---- ს-------ის ნაცვლად ხელი მოწერილი აქვს მის ყოფილ მეუღლეს, ლ--- ო----ს.

6. ადვოკატის განმარტებით მ---- ს-------- საჩივარში ცრუ ინფორმაციას უთითებს, კერძოდ, საცხოვრებელი ბინა მდებარე: ქ. თ------, ი--- ჭ-------ის N--, ბ- (ს/კ --.--.--.---.---.--.---,), 2013 წლის 9 დეკემბერს განვადებით შეიძინა ლ--- ო----ა, მაშინ როდესაც ისინი ფაქტობრივად დაშორებულები იყვნენ, თუმცა ოფიციალურად ჯერ კიდევ ცოლ-ქმარს წარმოადგენდნენ. მ----- ბ-------მ მიუთითა, რომ მას აღიქვამდნენ როგორც მ---- ს-------ის ოჯახის ადვოკატს. მას და მისი ოჯახის წევრებს უწევდა იურიდიულ დახმარებას როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე. ადვოკატი მ---- ს-------ის, როგორც დაზარალებულის ინტერესებს იცავდა სისხლის სამართლის საქმეზეც (N-------წ). ადვოკატის განმარტებით, 2021 წლის თებერვალში ლ--- ო----სა და მ---- ს--------ს შორის მორიგება უკვე გაფორმებული იყო და მ---- ს--------ფლობდა ინფორმაციას სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ადვოკატის განმარტებით, მას მ---- ს-------- 2010 წლის შემდეგ ფიზიკურად არ უნახავს, მათ შორის კომუნიკაცია ამ დროის განმავლობაში დისტანციურად მიმდინარეობდა მისი მეუღლის - ლ--- ო----ის მობილური ტელეფონით. მ----- ბ------- განმარტავს, რომ საადვოკატო მომსახურების თანხას იხდიდა ლ--- ო-----, პირადად მ---- ს--------ს მისთვის მომსახურების საფასური არასდროს გადაუხდია.

7. ადვოკატის განმარტებით, სადავო უძრავი ქონება ლ--- ო----ს შეუძინეს ძმებმა და მ---- ს--------ს აღნიშნული ბინის შეძენაში მონაწილეობა არ მიუღია. ადვოკატის განმარტებით, 2019 წელს მასთან სატელეფონო კონსულტაციის საფუძველზე ლ--- ო----მა ბინა გადაუფორმა მ---- ს--------ს იმ პირობით, რომ აშშ-ში წასვლის შემდეგ, იგი ბინის საფასურს - 175 000 (ას სამოცდათხუთმეტი ათას) აშშ დოლარს ამერიკიდან გამოუგზავნიდა. მ---- ს--------ავადმყოფობის გამო ამერიკაში ვერ წავიდა და ვერც ბინის საფასური გადაუხადა ყოფილ მეუღლეს. ადვოკატის განმარტებით, მ---- ს--------მას ლ--- ო-----ს ტელეფონით დაუკავშირდა, უთხრა, რომ ავად იყო და სთხოვა ბინა კვლავ ლ--- ო-----სათვის გადაეფორმებინა.

ადვოკატმა მ----- ბ-------მ განაცხადა, რომ არ აქვს შესაძლებლობა მასსა და მ---- ს--------ს შორის არსებული კომუნიკაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის მოკლე ტექსტური შეტყობინება წარმოადგინოს, ვინაიდან კლიენტის მითითებებსა და ზრახვებში ეჭვი არასოდეს შეპარვია და ასეთი დოკუმენტაცია არ შეუნახავს, ამასთან, ადვოკატმა დააზუსტა, რომ კლიენტს უმეტესად ლ--- ო-----ს მობილური ტელეფონით ესაუბრებოდა და მათი კომუნიკაცია იყო ზეპირი ფორმის. 2023 წლის 20 ოქტომბრის ეთიკის კომისიის სხდომაზე ეთიკის კომისიის წევრის შეკითხვაზე, რატომ არ მიმართეს პირდაპირ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს თუ მ---- ს-------- თანახმა იყო უძრავი ქონება გადაეფორმებინა ლ--- ო-----სათვის, ადვოკატმა განმარტა, რომ მ---- ს--------ს ინტერესს წარმოადგენდა სასამართლოს გზით მორიგების გაფორმება. ადვოკატის პოზიციით, არ არსებობს მისი დისციპლინირების საფუძველი, რადგან ის კლიენტის მითითებების შესაბამისად მოქმედებდა.

8. საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე 2023 წლის 2 თებერვალს მოწმის სტატუსით გამოკითხა მ---- ს-------ის ყოფილი მეუღლე - ლ--- ო----. ლ--- ო-----ს განმარტებით, მან სასამართლოში წარდგენილი სარჩელი სხვა იურისტს დააწერინა, რომელიც მ----- ბ-------ს კურიერის მეშვეობით მიუტანეს ოფისის

მისამართზე. მისივე განმარტებით, მორიგების აქტი მისი და მ---- ს-------ის კარნახით შეადგინა ადვოკატმა მ----- ბ-------მ და ის ესწრებოდა მომჩივანისა და ადვოკატის სატელეფონო საუბარს, რა დროსაც მომჩივანმა მ----- ბ-------ს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ხელი შეეწყო ლ--- ო-----სათვის, ვინაიდან სურდა მალე დაშორებოდა მას და დათანხმდა ბინის გადაფორმებაზე. მოწმემ დააზუსტა, რომ მ----- ბ------- წლების განმავლობაში წარმოადგენდა ოჯახის ადვოკატს, ის პირადად არ ხვდებოდა მ---- ს-------ს და მის დავალებებს იღებდა ლ--- ო-----ს მობილური ტელეფონით. ლ--- ო----მა განმარტა, რომ თავადაც არაერთხელ დაკავშირებია ადვოკატს სხვადასხვა საქმეზე და ადვოკატი მასაც ეხმარებოდა.

9. 2023 წლის 7 თებერვალს, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ------ ბ------ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

10. 2023 წლის 19 ივნისის მიმართვით საქმე განსახილველად გადაეცა განხილვის კოლეგიის მეორე დისციპლინურ კოლეგიას.

11. განხილვის კოლეგიის 2023 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 36-ე მუხლის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

12. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული გადაცდომები თავისი შინაარსით იმდენად მძიმეა, რომ ამ გადაცდომების სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატის მიმართ სახდელის სახით შესაძლოა გამოყენებულიყო გაფრთხილებაზე მეტი - განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

13. საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ საქმეზე უდავოდ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

13.1. 2010 წლის 19 თებერვალს, მ---- ს-------მ ადვოკატ მ----- ბ-------ს სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა (N---------), რომლის მიხედვითაც ადვოკატს ჰქონდა უფლებამოსილება კლიენტის ინტერესები წარმოედგინა სამივე ინსტანციის სასამართლოში, განეხორციელებინა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებები, მათ შორის, სარჩელით მიემართა სასამართლოსათვის, საქმე დაემთავრებინა მორიგებით.

13.2. მ---- ს-------- და ლ--- ო----- განქორწინდნენ 2010 წლის 4 მაისს.

13.3. 2013 წლის 9 დეკემბერს ლ--- ო----მა შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თ------, ი--- ჭ-------ის N--, ბ- (ს/კ --.--.--.---.---.--.---,).

13.4. 2019 წლის 8 ოქტომბერს მ---- ს--------მ ლ--- ო-----საგან შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თ------, ი--- ჭ-------ის N--, ბ- (ს/კ --.--.--.---.---.--.---,). ნასყიდობის საფასურად განისაზღვრა 175 000 აშშ დოლარი. 2019 წლის 10 ოქტომბრის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მ---- ს-------- დარეგისტრირდა აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრედ.

13.5. ლ--- ო----- და მ---- ს-------- წარმოადგენდნენ მოწინააღმდეგე მხარეებს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში (საქმე N-/--------), კერძოდ,

2020 წლის 01 ოქტომბერს ლ--- ო----მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მ---- ს-------ის მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის 2019 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. სარჩელი ხელმოწერილია უშუალოდ ლ--- ო----ს მიერ (საქმე N-/--------).

13.6. 2020 წლის 12 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საქმეზე N-/--------, ადვოკატმა მ----- ბ-------მ 2010 წლის 19 თებერვლის N100149340 მინდობილობით მ---- ს-------ის სახელით წარადგინა შესაგებელი, სადაც სრულად დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას. შესაგებელი ხელმოწერილია უშუალოდ ადვოკატ მ----- ბ------ის მიერ.

13.7. ლ--- ო----მა და ადვოკატმა მ----- ბ-------მ 2020 წლის 19 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარადგინეს განცხადება (N4031986) საქმის წარმოების შეწყვეტაზე, სადაც მითითებულია, რომ ლ--- ო----- და მ---- ს-------- მორიგდნენ. განცხადებას ერთვის 2020 წლის 19 ოქტომბრის მორიგების აქტი, რომლის მიხედვითაც მხარეები თანხმობას აცხადებდნენ გაუქმებულიყო მათ შორის 2019 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება და უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თ------, ი--- ჭ-------ის N--, ბ- (ს/კ --.--.--.---.---.--.---,)საკუთრების უფლება გადასცემოდა ლ--- ო----ს. მორიგების აქტი ხელმოწერილია უშუალოდ ლ--- ო-----სა და ადვოკატ მ----- ბ------ის, როგორც მ---- ს-------ის წარმომადგენლის მიერ.

13.8. 2020 წლის 9 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმეზე N-/-------- (მოწინააღმდეგე მხარეები: ლ--- ო----- და მ---- ს--------) მიიღო განჩინება მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რომლის თანახმადაც ლ--- ო----- ცნობილ იქნა უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თ------, ი--- ჭ-------ის N--, ბ- (ს/კ --.--.--.---.---.--.---,) მესაკუთრედ.

13.9. ადვოკატმა მ----- ბ-------მ 2020 წლის 12 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (საქმეზე N-/--------)წარადგინა განცხადება N-------, სადაც მითითებულია, რომ უარს ამბობს 2020 წლის 9 ნოემბრის განჩინების გასაჩივრებაზე.

14. ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი სადავო ფაქტები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია, რომ ადვოკატმა მ----- ბ-------მ არ აცნობა კლიენტს - მ---- ს--------ს მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ლ--- ო-----ს სარჩელის საფუძველზე არსებულ დავასთან დაკავშირებით; კლიენტის ინფორმირების გარეშე ცნო სარჩელი აღნიშნულ დავაში, ლ--- ო----თან ერთად წარადგინა ერთობლივი განცხადება საქმის წარმოების შეწყვეტაზე მორიგების აქტთან ერთად, რომლის მიხედვითაც მ---- ს-------ის კუთვნილი უძრავი ქონების (მდებარე: ქ. თ------, ი--- ჭ-------ის N--, ბ- ს/კ --.--.--.---.---.--.---,) მესაკუთრედ ცნეს მოწინააღმდეგე მხარე - ლ--- ო-----.

15. ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებისას მხარეებმა წარადგინეს ურთიერთსაპირისპირო განმარტებები ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირებისა და კლიენტისაგან მისი სახელით გაფორმებული მორიგების აქტის პირობებზე თანხმობის მიღების შესახებ. მ---- ს-------ის განმარტებით, ადვოკატს მისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია 2020 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო

დავასთან დაკავშირებით, სადაც მოწინააღმდეგე მხარეებს წარმოადგენდნენ ის და ლ--- ო-----. კლიენტისათვის უცნობი იყო, რომ ადვოკატმა განახორციელა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებები, კერძოდ, სრულად დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას და ლ--- ო----თან ერთად წარადგინა მორიგების აქტი, რომლის საფუძველზეც კლიენტმა დაკარგა სოლიდური ღირებულების უძრავი ქონება. **ადვოკატმა მ----- ბ-------მ უარყო აღნიშნული ფაქტები და განმარტა, რომ ის მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებით და კლიენტისაგან მითითებებს იღებდა ლ--- ო-----ს მობილური ტელეფონით.**

16. ადვოკატმა მ----- ბ-------მ საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად ეთიკის კომისიაში წარადგინა ლ--- ო-----ს ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი განმარტება, სადაც ლ--- ო----- უთითებდა, რომ მ----- ბ------- წარმოადგენდა ოჯახის ადვოკატს. ლ--- ო-----ს განმარტებით, მისი ტელეფონის საშუალებით, ადვოკატი მ----- ბ------- ესაუბრა მ---- ს--------ს, რომელმაც თანხმობა განაცხადა ლ--- ო-----სათვის უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თ------, ი--- ჭ-------ის N--, ბ- (ს/კ --.--.--.---.---.--.---,) მიკუთვნებაზე და ლ--- ო----თან ერთად უკარნახა მორიგების პირობები. აღნიშნული პოზიცია ლ--- ო----მა გაიმეორა საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 2 თებერვლის სხდომაზე, სადაც იგი გამოიკითხა მოწმის სტატუსით. მ---- ს--------მ განაცხადა, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

17. ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა ლ--- ო----ის პოზიცია და განმარტა, რომ 2020 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავაში (საქმე N-/--------) ლ--- ო----- და მ---- ს-------- წარმოადგენდნენ პროცესუალურ მოწინააღმდეგეებსა და დაპირისპირებულ მხარეებს. მ---- ს--------ს ქონებრივი უფლების დარღვევაზე პრეტენზია დღესაც აქვს ლ--- ო----ის მიმართ. ადვოკატ მ----- ბ------ის ქმედების შედეგად მ---- ს--------მ დაკარგა საკუთრების უფლება სოლიდური ღირებულების უძრავ ქონებაზე. ლ--- ო----სა და მ---- ს--------ს აქვთ ურთიერთსაპირისპირო ინტერესები და ლ--- ო----- წარმოადგენს არა ნეიტრალურ მოწმეს, არამედ საქმის შედეგით პირდაპირ დაინტერესებულ პირს, რომლის ინტერესებზე ეთიკის კომისიაში განსახილველი საკითხი პირდაპირ ზემოქმედებას შესაძლოა ახდენდეს. ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ ლ--- ო---- თავის წერილობით და ზეპირ განმარტებაში უთითებს: **„ადვოკატ მ----- ბ-------სთან ძირითადი ურთიერთობა მქონდა მე - ლ--- ო----ს და გასამრჯელოსაც მე ვუხდიდი“**. შესაბამისად **დგინდება, რომ ადვოკატი ფულად თანხას იღებდა კლიენტის მოწინააღმდეგე მხარისაგან, თუმცა პარალელურად, განაგრძობდა კლიენტის ინტერესების წარმოდგენას ისეთ დავაში, სადაც მისთვის გასამრჯელოს გადამხდელი პირი - ლ--- ო----- და მისი კლიენტი - მ---- ს-------- დაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენდნენ.**

18. ადვოკატმა კლიენტის მოწინააღმდეგე მხარესთან - ლ--- ო----თან ერთად, განახორციელა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებები, მათ შორის, ლ--- ო----მა და ადვოკატმა მ----- ბ-------მ ერთობლივი განცხადებები (2020 წლის 5 ნოემბრის და 19 ოქტომბრის განცხადებები N------- და N-------, მორიგების აქტის დამტკიცებაზე; 2020 წლის 21 ოქტომბრის N------- განცხადება, პროცესის დისტანციური ფორმით წარმართვაზე; 2020 წლის 5 ნოემბრის განცხადება N-------, მორიგების აქტის ზეპირი მოსმენით დამტკიცებაზე) წარადგინეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, საქმეზე N-

/--------. განცხადებები ხელმოწერილია მხოლოდ ლ--- ო-----სა და ადვოკატ მ----- ბ------ის მიერ და შინაარსობრივი თვალსაზრისით მომგებიანია ლ--- ო-----სათვის. ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ადვოკატმა მ----- ბ-------მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2020 წლის 12 ნოემბერს წარადგინა განცხადება N-------, სადაც მიუთითა, რომ უარს ამბობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 9 ნოემბრის განჩინების (საქმე N-/--------) გასაჩივრებაზე, რაც კლიენტს ართმევდა შესაძლებლობას საკუთარი ინტერესების დასაცავად მიემართა სააპელაციო სასამართლოსათვის. 2020 წლის 12 ნოემბერს იმავე შინაარსის წერილით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ლ--- ო----მაც. მ---- ს--------ს მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და განმარტების საპირისპიროდ, ადვოკატს ეთიკის კომისიისთვის არ წარუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც კომისიას სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დაარწმუნებდა, რომ მ---- ს-------- ზუსტ და ამომწურავ ინფორმაციას ფლობდა ადვოკატის მიერ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებზე, საქმის მოსალოდნელ შედეგებზე და თანხმობას აცხადებდა ადვოკატს განეხორციელებინა სადავო საპროცესო მოქმედებები, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარესთან შეთანხმებით.

19. ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა მ----- ბ-------მ არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით და კლიენტის ინფორმირების გარეშე, მოწინააღმდეგე მხარესთან შეთანხმებით განახორციელა საპროცესო მოქმედებები.

კომისიის შეფასებით, მოპასუხე ადვოკატი არ იყო დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას და არ მოქმედებდა მისი კლიენტის ინტერესების შესაბამისად; ადვოკატი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად მაშინ, როდესაც არ აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას სასამართლოში მიმდინარე დავის თაობაზე; ადვოკატმა არაკვალიფიციური წარმომადგენლობაც განახორციელა, რადგან არ შეათანხმა დაცვის სტრატეგია კლიენტთან, რითაც კლიენტს მიადგა მატერიალური ზიანი. კომისია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატისათვის, როგორც სპეციალური ცოდნისა და უნარების მქონე პირისათვის, კარგად იყო ცნობილი რა თანმდევი შედეგები მოჰყვებოდა მის მიერ განხორციელებულ მოქმედებებს და რა მატერიალური ზიანის გამომწვევი იქნებოდა ის კლიენტისათვის. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა არ გადადგა ქმედითი ნაბიჯები კლიენტისათვის ინფორმაციის ჯეროვნად მისაწოდებლად და არ დააზუსტა კლიენტის ნება, კერძოდ, არ მოიპოვა კლიენტის ინფორმირებული თანხმობა მორიგების პირობებზე და ამის საპირისპიროდ, თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმისწარმოებისას, კლიენტის მოწინააღმდეგე მხარესთან ერთად წარადგინა განცხადებები და მორიგების აქტი, რითაც ადვოკატმა დაარღვია კეთილსინდისიერების, დამოუკიდებლობის, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობისა და კლიენტის მითითებებით მოქმედების ეთიკური ვალდებულებები. კომისიის შეფასებით, მსგავსი ეთიკური გადაცდომები უმძიმესია. ამგვარი ქმედებები მნიშვნელოვნად აზიანებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში არსებულ ნდობას და არ შეესატყვისება ადვოკატის როლს მართლმსაჯულების სისტემაში.

20. კომისიამ სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატ მ----- ბ------ის მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი, მე-6 ნაწილის მე-2 პუნქტი და მე-8 მუხლის 1 პუნქტი; ასევე, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი, მე-6 მუხლის 1 ნაწილი, მე-8 მუხლის 1 ნაწილი, მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი და მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.
21. დისციპლინური სახდელის შეფარდებისას ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა იმ ფაქტებით, რომ საქმეშია ადვოკატის მიერ ჩადენილი ერთზე მეტი დისციპლინური გადაცდომა. ამავდროულად, ადვოკატის ქმედებების შედეგად, კლიენტს მიადგა ფინანსური ზიანი და დაკარგა სოლიდური ღირებულების უძრავი ქონება. ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებებიც: ფაქტი, რომ ადვოკატი არ არის დისციპლინირებული და გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი, რის გამოც ეთიკის კომისიის შეფასებით, არ არსებობს ადვოკატ მ----- ბ------ისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების შეწყვეტის საფუძველი, თუმცა გადაცდომათა განსაკუთრებული სიმძიმისა და სიმრავლის გათვალისწინებით, ეთიკის კომისიის შეფასებით, უფრო მსუბუქი დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმები (გაფრთხილება და/ან კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა) ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული გადაცდომების პრევენციასა და დისციპლინირების მიზნის მიღწევას. შესაბამისად, დისციპლინურ საქმეზე №095/22 დადგინდა ადვოკატის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და ადვოკატ მ----- ბ------ის /სიითი №----/ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა სახდელი - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.
22. საქმეს ასევე ერთვის კომისიის ორი წევრის - ო--- კ----------სა და ბ---- ქ-------ის ორი განსხვავებული აზრი.
23. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 20 ოქტომბრის №095/22 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში **გაასაჩივრა ადვოკატმა - მ----- ბ-------მ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.**
24. **საჩივრის ავტორის განმარტებით**, 2020 წელს კოვიდ-19 პანდემიით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, კლიენტთან - მ---- ს--------სთან ურთიერთობას აწარმოებდა დისტანციურად, ტელეფონის მეშვეობით. ის იყო მ---- ს--------ს ოჯახის ადვოკატი და იცავდა როგორც თავად მ---- ს--------ს, ასევე მისი შვილების: გ----- და დ---- ს----------ის ინტერესებს სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეებზე.
25. საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ სადავო უძრავი ქონება მდებარე: ქ. თ------, ი--- ჭ-------ის N--, ბ- (ს/კ --.--.--.---.---.--.---,) 2013 წლის 9 დეკემბერს შეიძინეს ლ--- ო----მა და მისმა ძმამ და ნასყიდობის საგანი მთლიანად აღირიცხა ლ--- ო----ის სახელზე. ადვოკატის განცხადებით, მ---- ს--------ს თანხა არ გადაუხდია აღნიშნული ბინის გადაფორმების დროს, იგი აპირებდა აშშ-ში წასვლას სამუშაოდ, რისთვისაც ესაჭიროებოდა უძრავი ქონება ჰქონოდა რეგისტრირებული საქართველოში და ფიქტიურად მოხდა მის სახელზე ზემოაღნიშნული ბინის გადაფორმება.
26. ადვოკატის განმარტებით, მან ასევე დისტანციურად მიიღო მ---- ს--------სგან

დავალება, რომ სასამართლოს საშუალებით მომხდარიყო ლ--- ო----ისთვის ბინის დაბრუნება, სთხოვა, რომ ლ--- ო----ის საჩივართან დაკავშირებით შეედგინა შესაგებელი და სრულად არ ეცნო სარჩელი. ადვოკატის განცხადებით, მ---- ს--------მ თავად მიაწოდა მინდობილობის რეკვიზიტები, რომლის თანახმადაც იგი მოქმედებდა - სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი და ინდივიდუალური ნომერი, რის საფუძველზეც ადვოკატმა შეძლო მინდობილობის ასლის ამოღება სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეესტრიდან.

27. მ----- ბ------ის მითითებით, 2020 წლის 19 ოქტომბერს მოხდა მ---- ს--------სთან შეთანხმება მორიგების აქტის პირობებზე და გადაგზავნილი იქნა ტელეფონში ტექსტის სახით, თუმცა აღნიშნული არ აქვს შენახული.

საჩივრის ავტორის განცხადებით, ის სრულყოფილად აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით, მოქმედებდა მ---- ს--------სთან შეთანხმებით, მის მიერ გაცემული რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

28. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი გამორიცხავს მის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტს და ითხოვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 20 ოქტომბრის №095/22 გადაწყვეტილების გაუქმებას.

29. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა სადისციპლინო პალატის სხდომაზე მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ მ----- ბ------ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 20 ოქტომბრის №095/22 გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

30. ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

31. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.

32. სადისციპლინო პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს ჰქონდა თუ არა ადგილი სადავო შემთხვევაში, ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირებისა და პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულების დარღვევას.

33. უპირველეს ყოვლისა, სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ ადვოკატმა

ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტთან შეთანხმების, მისი მითითებებისა და ინტერესების შესაბამისად და არ განახორციელოს ისეთი მოქმედება, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც კლიენტის ინტერესებს, ასევე ადვოკატის პროფესიას და როლს საზოგადოებაში.

34. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში; ამავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები. რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ადვოკატის ვალდებულებას კლიენტის წინაშე მის მიერ ნაკისრ მოვალეობებს მოეკიდოს სათანადო გულისხმიერებით, კერძოდ, კლიენტის უფლებების დაცვისა და რეალიზებისათვის იზრუნოს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი მისი პროფესიის მქონე ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და იმოქმედოს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია კლიენტისათვის ***(იხ. სუსგ საქმე Nას-835-801-2016, 30 ნოემბერი, 2016 წელი).***

35. ამასთან, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა; ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, **ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა** და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

36. სადისციპლინო პალატამ, საქმეზე #სპ-09-17 განმარტა, რომ ადვოკატი უნდა იყოს კლიენტის მრჩეველი და წარმომადგენელი, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას, კლიენტის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ადვოკატმა უნდა მიიღოს კლიენტთან შეთანხმებით და არა ერთპიროვნულად, ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით გაკეთებული განცხადებები მესამე პირების მიერ განიხილება როგორც კლიენტის ნების გამოვლენა და როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება.

37. საჩივრის ავტორი ადვოკატი მ----- ბ------- გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში სიითი ნომრით №/----; შესაბამისად, მასზე ვრცელდება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით განსაზღვრული რეგულაციები.

38. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2010 წლის 19 თებერვალს მ---- ს--------მ ადვოკატ მ----- ბ-------ს სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა (N---------), რომლის მიხედვითაც ადვოკატს ჰქონდა უფლებამოსილება კლიენტის ინტერესები წარმოედგინა სამივე ინსტანციის სასამართლოში, განეხორციელებინა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებები, მათ შორის, სარჩელით მიემართა სასამართლოსათვის, საქმე

დაემთავრებინა მორიგებით.
39. დადგენილია, რომ მ----- ბ------ის მარწმუნებელი მ---- ს-------- და ლ--- ო----- განქორწინდნენ 2010 წლის 4 მაისს.
40. ასევე დადგენილია, რომ 2013 წლის 9 დეკემბერს ლ--- ო----მა შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თ------, ი--- ჭ-------ის N--, ბ- (ს/კ --.--.--.---.---.--.---,).
2019 წლის 8 ოქტომბერს მ---- ს--------მ ლ--- ო-----საგან შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თ------, ი--- ჭ-------ის N--, ბ- (ს/კ --.--.--.---.---.--.---,). ნასყიდობის საფასურად განისაზღვრა 175 000 აშშ დოლარი. 2019 წლის 10 ოქტომბრის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მ---- ს-------- დარეგისტრირდა აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრედ.
41. ლ--- ო----- და მ---- ს-------- წარმოადგენდნენ მოწინააღმდეგე მხარეებს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში (საქმე N-/--------), კერძოდ, 2020 წლის 01 ოქტომბერს ლ--- ო----მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მ---- ს--------ს მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის 2019 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. სარჩელი ხელმოწერილია უშუალოდ ლ--- ო----ის მიერ (საქმე N-/--------).
42. 2020 წლის 12 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საქმეზე N-/--------, ადვოკატმა მ----- ბ-------მ 2010 წლის 19 თებერვლის N--------- მინდობილობით მ---- ს--------ს სახელით წარადგინა შესაგებელი, სადაც სრულად დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას. შესაგებელი ხელმოწერილია უშუალოდ ადვოკატ მ----- ბ------ის მიერ.
43. ლ--- ო----მა და ადვოკატმა მ----- ბ-------მ 2020 წლის 19 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარადგინეს განცხადება (N-------) საქმის წარმოების შეწყვეტაზე, სადაც მითითებულია, რომ ლ--- ო----- და მ---- ს-------- მორიგდნენ. განცხადებას ერთვის 2020 წლის 19 ოქტომბრის მორიგების აქტი, რომლის მიხედვითაც მხარეები თანხმობას აცხადებდნენ გაუქმდეს მათ შორის 2019 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება და უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თ------, ი--- ჭ-------ის N--, ბ- (ს/კ --.--.--.---.---.--.---,) საკუთრების უფლება გადასცემოდა ლ--- ო----ს. მორიგების აქტი ხელმოწერილია უშუალოდ ლ--- ო-----სა და ადვოკატ მ----- ბ------ის, როგორც მ---- ს--------ს წარმომადგენლის მიერ.
44. 2020 წლის 9 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ, საქმეზე N-/-------- (მოწინააღმდეგე მხარეები: ლ--- ო----- და მ---- ს---------) მიიღო განჩინება მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რომლის თანახმადაც ლ--- ო----- ცნობილ იქნა უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თ------, ი--- ჭ-------ის N--, ბ- (ს/კ --.--.--.---.---.--.---,) მესაკუთრედ.
45. ადვოკატმა მ----- ბ-------მ 2020 წლის 12 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (საქმეზე N-/--------) წარადგინა განცხადება N-------, სადაც მითითებულია, რომ უარს ამბობს 2020 წლის 9 ნოემბრის განჩინების გასაჩივრებაზე.
46. საჩივრის ავტორი საჩივარში მიუთითებს, რომ მოქმედებდა კლიენტთან - მ---- ს-------სთან შეთანხმებით და მასთან ურთიერთობას აწარმოებდა დისტანციურად,

ტელეფონის მეშვეობით. სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ამ არგუმენტაციას და განმარტავს რომ ადვოკატის მხრიდან კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება სახეზე გვექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დადასტურდებოდა, რომ სადავო საკითხთან დაკავშირებით ადვოკატი დეტალურად აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას მისი წარმომადგენლობით თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავასთან დაკავშირებით, ათანხმებდა მნიშვნელოვან საკითხებს და მოქმედებდა უშუალოდ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა მ---- ს--------ს მიერ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წარდგენილი საჩივრის მიხედვით, 2020 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში ლ--- ო----ის მიერ მის წინააღმდეგ წარმოებულ დავასთან დაკავშირებით ადვოკატ მ----- ბ-------ს მისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია, ფაქტიურად თვითნებურად ახორციელებდა წარმომადგენლობას, მასთან შეთანხმების გარეშე. კლიენტი ასევე არ იყო ინფორმირებული ადვოკატის მხრიდან მისი სახელით განხორციელებულ სხვადასხვა საპროცესო მოქმედებებთან და სასამართლოში მისი სახელით წარდგენილ განცხადებებთან დაკავშირებით, რამაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად დააზიანა კლიენტის ინტერესები და ადვოკატის მხრიდან განხორციელებული მოქმედებების შედეგად, მ---- ს--------ს განმარტებით, დაკარგა სოლიდური ღირებულების უძრავი ქონება.

47. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ **მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. ამტკიცებს ის, ვინც ამტკიცებს და არა ის, ვინც უარყოფს.**

48. ადვოკატი მ----- ბ------- როგორც ეთიკის კომისიაში, ასევე სადისციპლინო

პალატაში საქმის განხილვისას მიუთითებდა, რომ მუდმივად კონტაქტზე იყო კლიენტთან, მოქმედებდა რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მისი ყოველი მოქმედება შეთანხმებული იყო მ---- ს--------სთან, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება ადვოკატს არ წარმოუდგენია. სადისციპლინო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ადვოკატმა მ----- ბ-------მ არ აცნობა კლიენტს - მ---- ს-------ს მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ლ--- ო----ის სარჩელის საფუძველზე არსებულ დავასთან დაკავშირებით; კლიენტის ინფორმირების გარეშე ცნო სარჩელი აღნიშნულ დავაში, ლ--- ო----თან ერთად წარადგინა ერთობლივი განცხადება საქმის წარმოების შეწყვეტაზე მორიგების აქტთან ერთად, რომლის მიხედვითაც მ---- ს--------ს კუთვნილი უძრავი ქონების (მდებარე: ქ. თ------, ი--- ჭ-------ის N--, ბ- (ს/კ --.--.--.---.---.--.---,)) მესაკუთრედ ცნეს მოწინააღმდეგე მხარე - ლ--- ო-----.

49. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ კლიენტისათვის საქმეზე სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს, რომელიც ამტკიცებს, რომ კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია და არა კლიენტს, რომელიც უარყოფს ადვოკატისაგან ინფორმაციის მიღების ფაქტს.

50. პალატის მოსაზრებით, საგულისხმოა ასევე, რომ ადვოკატის განმარტებები, საქმის განხილვის მსვლელობის განმავლობაში, ურთიერთსაწინააღმდეგოა: ეთიკის კომისიაში მითითება იყო იმდაგვარი, რომ მარწმუნებელთან კომუნიკაცია უმეტეს შემთხვევაში იყო ზეპირსიტყვიერი, ასევე აცხადებდა, რომ უკავშირდებოდა მ---- ს-------ს ლ--- ო-----ს ტელეფონზე, რადგან ისინი ფაქტობრივად ერთად ცხოვრობდნენ, ხოლო სადისციპლინო პალატის წინაშე განაცხადა, რომ პირადად, ტელეფონზე უკავშირდებოდა მ---- ს--------ს.

51. საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი მოქმედებები ჯდება რწმუნებულებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, ვინაიდან 2010 წლის 19 თებერვალს ნოტარიუს ბ---- ს------ის მიერ შედგენილ რწმუნებულებაში მითითებულია, რომ *„რწმუნებული იცავს მარწმუნებლების ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს. ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში და აწარმოებს შესაბამისი სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეს. ამ სარჩელთან დაკავშირებით აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით. გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, შეადგინოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი. მარწმუნებლების სახელით შეიტანოს განცხადებები და სარჩელი სასამართლოში, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერი მასალებიდან, დაამთავროს საქმე მორიგებით.“* - აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ მიუხედავად რწმუნებულებით მინიჭებული ფართო უფლებამოსილებებისა, დაუშვებელია ადვოკატმა ბოროტად

გამოიყენოს მის მიმართ გამოხატული მაღალი ნდობა და სხვადასხვა მოქმედებები განახორციელოს კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ, თუნდაც აღნიშნული მოქმედებების შესახებ მითითებული იყოს მის მიმართ გაცემულ მოქმედ რწმუნებულებაში.

52. სადისციპლინო პალატა ასევე ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ როგორც საჩივარში, ასევე საქმის არსებითად განხილვისას, ადვოკატმა არაერთხელ დააფიქსირა პოზიცია, რომ უძრავი ქონება მდებარე: ქ. თ------, ი--- ჭ-------ის N--, ბ- (ს/კ --.--.--.---.---.--.---,) შეძენილია ლ--- ო----ის ძმების თანხით, 2019 წლის 8 ოქტომბერს აღნიშნული უძრავი ქონება ფორმალურად აღირიცხა მ---- ს--------ს სახელზე, რა დროსაც ს--------ს ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა - 175 000 აშშ დოლარი არ გადაუხდია, აღნიშნულიდან გამომდინარე ადვოკატი თითქოსდა გამართლებულადაც მიიჩნევს მის მიერ განხორციელებულ მოქმედებებს, რომ აღადგინა პირვანდელი სამართლებრივი მდგომარეობა და უძრავი ქონება დაუბრუნა რეალურ მესაკუთრეს. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა მიუთითებს, რომ მიუხედავად სამართლიანობის სუბიექტური განცდისა და პირადი შეხედულებისა საკითხისადმი, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად გასწიოს მომსახურება და არ განახორციელოს ისეთი მოქმედებები, რომელიც ზიანს მიაყენებს კლიენტის ინტერესებს.

53. პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს განუმარტოს მის საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დეტალი და თითოეული საპროცესო მოქმედების მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგი, რომლის მტკიცების ტვირთიც ადვოკატმა მ----- ბ-------მ ვერ დაძლია მოცემულ სადავო საკითხთან დაკავშირებით.

54. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ----- ბ------ის მიერ დარღვეულია **„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი** *(ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები)*, **მე-6 ნაწილის მე-2 პუნქტი** *(ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან)*; და **მე-8 მუხლის 1 პუნქტი** *(ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას)* ასევე, **ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი** *(ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს)*, **მე-6 მუხლის 1 ნაწილი** *(ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე)*, **მე-8 მუხლის 1 ნაწილი** *(ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან*

ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა), **მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი** *(ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა)* და **მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის** *(ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ)* მოთხოვნები.

55. ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის, ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის. ამავე კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის სააადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით.

56. პალატას მიაჩნია, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. მ----- ბ------ის მიერ დარღვეულია "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნები. შესაბამისად, ადვოკატის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია. სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის - საადვოკატო საქმიანობის უფლების 6 თვის ვადით ჩამორთმევასთან დაკავშირებით და თვლის, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომების შინაარსი, სიმძიმე და დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის შესაბამისია.

57. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ადვოკატ მ----- ბ------ის საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით, 75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75[64] მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ მ----- ბ------ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 20 ოქტომბრის №095/22 გადაწყვეტილება;

3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;

4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **თეა ძიმისტარაშვილი**

მოსამართლეები: **რევაზ ნადარაია**

გოჩა აბუსერიძე